საქართველო

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ოქმი:ო87. 87223392

თარიღი:05/12/2022

**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**რიგგარეშე სხდომის**

**ოქმი № 13**

ქ. ახმეტა 5 დეკემბერი, 2022 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა: იოსები ქარუმაშვილი - ახმეტის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე

ს ხ დ ო მ ა ს ე ს წ რ ე ბ ო დ ნ ე ნ:

საკრებულოს წევრები: შ.ხოხობაშვილი, გ.ბართიშვილი, გ. ქიბროწაშვილი,

თ.ბორჩაშვილი, ხ.იჩუაიძე, გ.შაშიაშვილი,

კ.მამულაშვილი, ზ.უძილაური, ბ.კაიშვილი,

ე.ბაღაკაშვილი, გ.მამუჩარაშვილი,რ.გახუაშვილი,

დ.ავაზაშვილი, გ. ონიაშვილი, ზ. ფიცხელაური,

ლ.ვაჩეიშვილი, შ. ტერტერაშვილი.

სხდომა გაიხსნა 15 $^{00}$ საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, იოსებ ქარუმაშვილმა დამსწრე საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

**დღის წესრიგი**

1. **,,ახმეტის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

**/მომხსენებელი - მ. მაისურაძე/**

**საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მიღებას.**

**სხდომას ესწრება - 18 საკრებულოს წევრი**

**მომხრე - 17**

**მონაწილეობა არ მიიღო - 1 შ. ტერტერაშვილი.**

**დღის წესრიგი დამტკიცდა.**

მოისმინეს: ,,ახმეტის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

/მომხსენებელი - მ. მაისურაძე/

მომხსენებელმა გააცნო პროექტი.

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 77-ე მუხლის შესაბამისად, 2022 წლის მუნიციპალიტეტის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შედეგად შემოსულობების და გადასახდელების ცვლილების დამტკიცება.

**ბიუჯეტის პარამეტრები**

**შემოსულობები:** შემოსულობების ნაწილი იზრდება 336,6 ათ. ლარით. აქედან 316,2 ათ. ლარი არის დამატებული ღირებულების გადასახადიდან შემოსავალის ზრდა, ხოლო 20.4 ათ. ლარით იზრდება სოფ. მატანში მეორე საჯარო სკოლის რეაბილიტაციისთვის გამოყოფილი თანხა (საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 იანვრის #51 განკარგულება).

**საგასავლო ნაწილი:**

**ცვლილებები ადგილობრივ ბიუჯეტში**

ზრდა

1. **ბაღების არაფინანსური + 69,0 ათ. ლარი** (იზრდება აწყურის ბაღის მშენებლობის თანადაფინანსება 51,0 ათ. ლარით და კოღოთოს ბაღის რეაბილიტაციის თანადაფინანსება 25,0 ათ. ლარით. შემცირდა ქ. ახმეტაში #5 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია 7,0 ათ. ლარით)
2. **ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება - საქონელი და მომსახურება +155,0 ათ. ლარი** (ახალ წელთან დაკავშირებული ღონისძიებისთვის)
3. **სარეზერვო ფონდი - საქონელი და მომსახურება +166,2 ათ. ლარი.**
4. **კომისარიატი - საქონელი და მომსახურება იზრდება 1,0 ათ. ლარით** (წვევამდელების ტრანსპორტით მომსახურებისთვის)
5. **საკრებულო - საქონელი და მომსახურება იზრდება 3,0 ათ. ლარით** (საკრებულოს კუთვნილი ავტომობილისთვის საბურავების შეძენა)
6. **შესყიდვები - საქონელი და მომსახურება იზრდება 0,5 ათ. ლარით** (გაზრდილია ტენდერების გამოცხადების რაოდენობა)
7. **ა(ა)იპ კეთილმოწყობის სამსახური - კაპიტალური + 1,0 ათ. ლარი** (გადმოტანილია სუბსიდიიდან, კომპიუტერის შესაძენად)
8. **ა(ა)იპ ტყე-პარკების და სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ცენტრი - კაპიტალური + 1,3 ათ. ლარი** (გადმოტანილია სუბსიდიიდან გაზიფიცირებისა და ელ. ენერგიის დაერთებისთვის)
9. **ა(ა)იპ სოფლის წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა - სუბსიდია +5,0 ათ. ლარი** (გადმოტანილია კაპიტალურიდან მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად)
10. **ავადმყოფთა სოც. დაცვა +24,4 ათ. ლარი** (გადმოტანილია სოციალურად დაუცველი მოსახლეობის პროგრამული კოდიდან)

**სულ ზრდა: 426,4 ათ. ლარი.**

**კლება**

1. **დასუფთავების ღონისძიებები -** არაფინანსური აქტივების ზრდა - 30,0 ათ. ლარი (ნაგვის ურნების შეძენიდან მორჩენილი ეკონომია)
2. **წყლის სისტემების რეაბილიტაცია - არაფინანსური აქტივების ზრდა - 8,0** (ყვარელწყლის ჭაბურღილის მოწყობაზე გამოცხადებული ტენდერის ეკონომია -8,0 ათ. ლარი)
3. **ნაპირსამაგრი - არაფინანსური აქტივების ზრდა - 2,0 ათ. ლარი** (საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკ. შედგენაზე გამოცხადებული ტენდერის ეკონომია)
4. **ა(ა)იპ კეთილმოწყობის სამსახური - სუბსიდია - 1,0 ათ. ლარი** (გადატანილია კაპიტალურში)
5. **ა(ა)იპ ტყე-პარკების და სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ცენტრი - კაპიტალური - 1,3 ათ. ლარი** (გადატანილია კაპიტალურში)
6. **ა(ა)იპ სოფლის წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა** - **არაფინანსური აქტივების**

**ზრდა - 5,0 ათ. ლარი** (გადატანილია სუბსიდიაში)

7. **სპეც. ტექნიკისა და ინვენტარის შეძენა - არაფინანსური აქტივების ზრდა - 38,5 ათ. ლარი**
8. **სოც. დაუცველი მოსახლეობის დახმარება - 24,4 ათ. ლარი** (გადატანილია ავადმყოფთა სოც. დაცვაში)

**სულ კლება: 110,2 ათ. ლარი**

**საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას.**

**სხდომას ესწრება - 18 საკრებულოს წევრი**

**მომხრე - 17**

**მონაწილეობა არ მიიღო - 1 შ. ტერტერაშვილი.**

**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება: № :60 ,,ახმეტის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

დანართი თან ერთვის ოქმს.

საკრებულოს სხდომა დაიხურა 15:$^{30}$საათზე.

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი